არავინ უნდა დაჰკრას ათზე მეტი მათრახის დარტყმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ალლაჰის ერთ-ერთი სასჯელის საზღვრის ფარგლებში ხორციელდება

გადმოცემულია აბუ ბურდათა ალ-ანსარისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «არავინ უნდა დაჰკრას ათზე მეტი მათრახის დარტყმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ალლაჰის ერთ-ერთი სასჯელის საზღვრის ფარგლებში ხორციელდება».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა ვინმესთვის ათზე მეტი მათრახის დარტყმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება სხვადასხვა სახის ცოდვებს, ეს არ ეხება იმ სასჯელებს, რომლებშიც შარიათმა განსაზღვრა კონკრეტული რაოდენობა, მაგალითად, მრუშობა, ქურდობა ან სხვა შარიათული სასჯელების შემთხვევები, ჰადისი მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო დარტყმა, როგორიცაა ცოლის, შვილის ან სხვების დასჯა, არ უნდა აღემატებოდეს ათ დარტყმას.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/2987